


# 2022

## კათოლიკე ეკლესიის კალენდარი

კათოლიკე ეკლესიის კალენდარი 2022

ლათინ კათოლიკეთა კავკასიის
სამოციქულო ადმინისტრაცია

www.DesktopBackground.org www.DesktopBackground.o

L’Amministrazione Apostolica
per i latini del Caucaso ringrazia

“Cinque Pani d’Orzo”

XXXI Edizione - 2022
A cura della “Fraternità Gesù Risorto”
Casa di Preghiera S. Maria Assunta - Tavodo
Via della Pieve 3 - 38078 San Lorenzo Dorsino TN

**www.cinquepani.it**

Telefono 0465 734277 - fgr@cinquepani.it
IBAN per eventuali offerte IT80o0807873880000033003173



კალენდარში წმიდა წერილის საკითხავები მითითებულია რომაული ლიტურგიის მიხედვით. კათოლიკური უქმე დღეები მითითებულია შესაბამისად, კვირის დღე მიანიშნებს, რომ ეს დღე საერო კალენდრით არაა დასვენება.

გამოყენებულია პირობითი ნიშნები:
- [I, II, III, IV] – მიუთითებს ჟამნის ფსალმუნთა კვირას;
- [ს] – ამა თუ იმ დღესასწაულის საკუთარი წესი;
- (მ) – სავალდებულო მოხსენიება.
- დ – დღესასწაული.
- დდ – დიდდღესასწაული.
- «გ» – სამწლიანი ციკლიდან პირველი წელი

ლიტურგიული სამოსის ფერები: მწ — მწვანე; წ — წითელი; თ — თეთრი; ი — იასამნისფერი; ვ — ვარდისფერი

## იესო ხვდება მოწაფეებს

ყდა: *icona, Studio iconografico San Giovanni Battista*

შიშის გამო კარი ჰქონდათ გადარაზული. არ ელოდნენ მას; მეტიც, არავის უშვებდნენ შინ. რა თქმა უნდა მათ შორის აღარ იყო იუდა ისკარიოტელი, რომელსაც გადაავიწყდა თავისი უფლის გულმოწყალება და სხვა გზა აირჩია. არ იყო მათთან თომაც, არ ვიცით, რატომ. და აი, იესოც: ნამდვილად ისაა, ნალურსმევი ეტყობა სხეულზე. იგი უკვე სხვა სიცოცხლით ცოცხლობს, თუმცა არაფერი უშლის ხელს, რათა ეჩვენოს მათ, შეეხონ მას, უსმინონ. მეწამული კვართი ღვთიურ სიბრძნეს აღნიშნავს, სავსე სიყვარულს, თავს რომ სწირავს მოწამეობაზე, თეთრი მოსასხამი კი გამარჯვებისა და მშვიდობის ნიშანია. მისი სიტყვებიც მშვიდობის, ძლიერების, სიბრძნის მატარებელია. ათნი გაოგნებულნი ვერ გარკვეულან, უყურებენ და ხედავენ, უსმენენ და ვერ იგებენ, უხარიათ და ეჭვობენ. ეჭვობენ, ვიდრე არ იხილავენ მას როგორ შეექცევა შემწვარ თევზს, რომელიც სთხოვა მათ. მისი სიტყვები ხილვაზე მეტად აკვირვებს მათ: „როგორც მამამ მომავლინა მე, ასევე მეც მიგავლენთ თქვენ“. ისინიც განიცდიან სააპასექო საიდუმლოს, მთელ მათ ცხოვრებაზე რომ აღიბეჭდება ტანჯვითა და დევნით. „მიიღეთ სულიწმიდა. ვისაც მიუტევებთ ცოდვებს...“: ეს სიტყვები ცვლის ყველაფერს, გეგმებს, თვალსაწიერს, რეაქციებს: ტანჯვა არ გამქრალა, კვლავაც ცხოვრების ნაწილი იქნება. თუმცა ეს როდი შეუშლის ხელს მათ ალელუიას გალობაში!